ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№ - 84
(გაერთიანებული სხვა კომისიებთან)

ქ. თბილისი; 29 აპრილი; 2021 წ. 12:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე
ნინო რუხაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი/უფროსის მოადგილე - **გაიოზ თალაკვაძე; ლევან მიქავა**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი – **ირაკლი თავართქილაძე;**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსი - **მარიამ კვერნაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეები– **დავით ჯაიანი; ოთარ ჩიტიძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი - **გიგა გიგაშვილი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი - **ირაკლი გვილავა**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის ფორმისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

3. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის" დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 აპრილის №78-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

4. „ქ. თბილისში, განსაზღვრული მიწის ნაკვეთების შპს „PP"-სთვის (ს/კ:404922474) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 8 მაისის N12.17.575 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 23 აპრილის N21.512.619 განკარგულებით წარდგენილი საკითხის შეთანხმების შესახებ" **ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

5. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტები.**

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის

12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

8. „ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10, (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ 204460957) და შპს „ანაგი"-ს (ს/კ 245416401) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, მირიან მეფის ქუჩა N58 (ს/კ N01.72.14.037.415) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

9. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

10. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ინერტული ნარჩენების ამოვსების ოპერაციებისა და მშენებლობის მიზნებისათვის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.
მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა - **გაიოზ თალაკვაძემ,** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის **№71-134** დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის თქმით, წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, დედაქალაქის 2021 წლის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება **78,900.0 ათასი ლარით და შეადგენს 1 191 310,3 ათას ლარს.** მისივე თქმით, აღნიშნული თანხიდან **30 მილიონი** ცენტრალური ხელისუფლების ტრანსფერია, დანარჩენი კი სხვადასხვა შემოსავლები.

გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები. ამასთან საკითხის წარმომდგენმა ის ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები ჩამოთვალა, რომლებზეც გაზრდილი თანხა გადანაწილდება, მათ შორის:

- **იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:**

  - ✓ გზების მშენებლობა და აღდგენა - **1 000,0 ათასი ლარით;**
  - ✓ გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში – **495,0 ათასი ლარით;**
  - ✓ გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში – **583,9 ათასი ლარით;**
  - ✓ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები – **8 835,5 ათასი ლარით;**
  - ✓ საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია – **17 260,3 ათასი ლარით;**
  - ✓ საბაგირო ტრანსპორტის განვითარება – **11 639,7 ათასი ლარით;**
  - ✓ საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია – **2 259,8 ათასი ლარით;**
  - ✓ სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებების - **517,9 ათასი ლარით;**
  - ✓ გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია - **2 000,0 ათასი ლარი;**
  - ✓ ქალაქის განვითარების ხელშეწყობა - **231,0 ათასი ლარით;**
  - ✓ გამწვანების ღონისძიებები - **4 120,0 ათასი ლარი;**
  - ✓ დასუფთავების ღონისძიებები – **7 400,0 ათასი ლარი;**
  - ✓ თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა – **100,0 ათასი ლარი;**

- ✓ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში **- 300,0 ათასი ლარი;**
- ✓ დაავადებათა სკრინინგი – **250,0 ათასი ლარი;**
- ✓ (ა(ა)იპ ეროვნული სკრინინგ ცენტრის დიდუბის ფილიალში რემონტი), აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია – 400,0 ათასი ლარი;
- ✓ კომუნალური სუბსიდირება **– 1 800,0 ათასი ლარი;**
- ✓ სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები გლდანის რაიონში – **149,7 ათასი ლარი;** ნაძალადევის რაიონში – **375,4 ათასი ლარი;** დიდუბის რაიონში – **14,2 ათასი ლარი;** ჩუღურეთის რაიონში – **154,1 ათასი ლარი;** ვაკის რაიონში – **23,6 ათასი ლარი;** საბურთალოს რაიონში – **39,4 ათასი ლარი,** ისნის რაიონში – **51,4 ათასი ლარი;** სამგორის რაიონში**– 60,8 ათასი ლარი;** მთაწმინდის რაიონში – **66,6 ათასი ლარი,**
- ✓ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - **6 500,0 ათასი ლარი;**
- ✓ მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა – **500,0 ათასი ლარი;**
- ✓ სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა – **1 300,0 ათასი ლარი;**
- ✓ სპორტული მოედნების მშენებლობა-რეკონსტრუქცია – **1 000,0 ათასი ლარი;**
- ✓ სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მშენებლობა **– 6 108,6 ათასი ლარი;**
- ✓ მერიის ადმინისტრაცია - **1 000,0 ათასი ლარი;**
- ✓ სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო – **164,5 ათასი ლარი;**
- ✓ სარეზერვო ფონდი – **7 638,5 ათასი ლარი;**

ბატონმა გაიოზმა განმარტა, რომ ბიუჯეტით განსაზღვრულ ჩამონათვალს დაემატა ახალი პროგრამა - 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები– **400,0 ათასი ლარის** ოდენობით.

- ➢ **ბატონმა გაიოზმა აღნიშნა, რომ მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:**

- ✓ კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში – **583,9 ათასი ლარით;**
- ✓ თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში - **100,0 ათასი ლარი;**
- ✓ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში - **231,0 ათასი ლარი;**
- ✓ წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება გლდანის რაიონში – **495,0 ათასი ლარი;**
- ✓ წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება საბურთალოს რაიონში – **300,0 ათასი ლარი;**
- ✓ კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები – **500,0 ათასი ლარი;**
- ✓ ცხოველთა მონიტორინგი - **3 630,0 ათასი ლარი;**

მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა იქვე დასძინა, რომ დაზუსტდა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო - პროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა, გაიზარდა 5 ერთეულით და შეადგინა 140 ერთეული.

დასასრულს, ბატონმა თალაკვაძემ დასძინა, რომ პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 121 876,1 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 69 434,2 ათასი ლარით. ამასთან, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 073 732,9 ათასი ლარით, ხოლო, ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 53 969,8 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა - **გიორგი ჩაკვეტაძემ** აღნიშნა, რომ თბილისის **2021 წლის ბიუჯეტში,** დედაქალაქის მთავრობის მიერ გათვალისწინებულია სპორტის მიმართულებით არსებული ძირითადი რეკომენდაციები. მისივე თქმით, დედაქალაქის მთავარ ფინანსურ დოკუმენტში განხორციელებული ცვლილების შედეგად, შესაძლებელი გახდება მიმდინარე სპორტული პროექტების დასრულება და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას თავმჯდომარის - **ლევან ჟორჟოლიანის** განმარტებით, დედაქალაქის 2021 წლის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება **78,900.0 ათასი ლარით** და თბილისის მუნიციპალიტეტის არსებობის ისტორიაში ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწევს. თავმჯდომარემ, აღნიშნული ფინანსების პრიორიტეტულ მიმართულებებზე გადანაწილების მნიშვნელობასაც გაუსვა ხაზი.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, დადგენილების პრეამბულაში, სამართლებრივ საფუძვლად მიეთითოს, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი,** ასევე, სამართლებრივი საფუძვლების ნაწილში მიეთითოს **„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის კონკრეტული პუნქტი.** შესაბამისად, დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2-3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა – **ირაკლი თავართქილაძემ,** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 და მე-3 საკითხები და წარმოადგინა შესაბამისი დადგენილებათა პროექტები.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-2 საკითხთან მიმართებაში, მომხსენებლმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის 4 მარტის დადგენილებითა და ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 6 თებერვლის შესაბამისი გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის საფუძველზე დარეგულირებული იყო, ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო რეესტრის, სანებართვო მოწმობის ფორმისა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 აპრილის **№78-26** დადგენილებით დამტკიცდა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესი", რითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილება, შეასაბამისად, იურიდიული ძალა დაკარგა მის საფუძველზე მიღებულმა ნორმატიულმა აქტმა.

ირაკლი თავათქილაძის განმარტებით, მიმდინარე ეტაპზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის მიზნით, განიხილება ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, ელექტრონული აუქციონის გამოცხადება, შესაბამისად, აუცილებელი გახდა დამტკიცდეს **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის ფორმა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესები,** რომელიც შესაბამისობაში იქნება დღეს მოქმედ კანონმდებლობას.

საკითხის წარმომდგენის თქმით, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავებულ იქნა:

- ✓ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი;
- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის ფორმა;
- ✓ სანებართვო მოწმობის აღრიცხვის ჟურნალის ფორმა;
- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის რეესტრის ფორმა;
- ✓ გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობების ჩამოწერის აქტის ფორმა;

- ✓ დაბრუნებული, გაუქმებული და გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობების რეესტრის ფორმა.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ა" ქვეპუნქტით დასამტკიცებელი წესი განსაზღვრავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესს.

ამასთან, მომხსენებელმა ისაუბრა, სანებართვო მოწმობის ფორმის გამოყენების, რეესტრის წარმოების, დაბრუნების, გაუქმებისა და სხვა ტექნიკურ მხარესთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებზე.

რაც შეეხება დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-3 საკითხს, **ირაკლი თავართქილაძემ** წარმოადგინა შესაბამისი დადგენილების პროექტი და განმარტა, რომ ვინაიდან, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 საკითხად წარმოდგენილი დადგენილების პროექტით მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის ფორმა, ამასთან, **ვინაიდან არ არსებობს ერთი და იმავე საკითხის ორი ნორმატიული აქტით რეგულირების საჭიროება,** ცვლილება შედის **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 აპრილის №78-26 დადგენილებაში, რომლის მიხედვით, დადგენილებიდან ამოიღება მე-4 მუხლი, რომლითაც დამტკიცებული იყო** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის ფორმა, ამავე დადგენილების დანართი №2 ის შესაბამისად.

აზი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - **ლევან ჟორჟოლიანმა,** გააკეთა მცირედი კომენტარი და აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში ცნობილი გახდება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის შედეგები, ხოლო ამის შემდგომ გამოცხადდება გარე რეკლამის განთავსების ნებართვის განკარგვის შესახებ ელექტრონული აუქციონი, სადაც დადგენილი იქნება გარკვეული პირობები. თავმჯდომარემ იმედი გამოთქვა რომ აღნიშნული პირობების გამოცხადებით, მოგვარდება ამ სფეროში წლების განმავლობაში არსებული პრობლემები.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ დადგენილებათა პროექტებს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა – **ირაკლი თავართქილაძემ,** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს, წარუდგინა, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-4 საკითხი, წარმოადგინა შესაბამისი განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისიწნებს, „ქ. თბილისში, განსაზღვრული მიწის ნაკვეთების შპს „PP"-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 8 მაისის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 23 აპრილის N21.512.619 განკარგულების პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული საკითხების ქალაქ თბილისის საკრებულის მიერ შეთანხმებას.**

მომხსენებლის თქმით, ქ.თბილისის მთავრობის N12.17.575 დადგენილებისა და სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს 2014 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე, შპს „PP"-ს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით გადაეცა ქ. თბილისში, ვეკუას ქუჩა 3–ის მიმდებარედ 160 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.18.03.011.010), 584 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.18.03.011.011) 47 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.18.03.011.012) და 327კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.18.03.011.013) მიწისზედა მშენებლობის უფლების გარეშე. ხელშეკრულების თანახმად;

- მთლიანად გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე (ჯამში 1,118 კვ.მ) სარგებლობის ყოველწლიური საფასური განისაზღვრა 42,000 (ორმოცდაორი ათასი) ლარის ოდენობით, რომელიც მოაღნაგემ უნდა გადაიხადოს წელიწადში ერთხელ.

- შპს „PP"-ს მიეცა თანხობა აღნაგობის საგანის იპოთეკით დატვირთვაზე სს „ბანკ ქართუ"-ში, სესხის მიღების სანაცვლოდ. შემდგომში, ვინაიდან შპს „PP"-მ ვერ დაფარა სესხი, იძულებითი აღსრულების შედეგად მოაღნაგე გახდა სს „ბანკი ქართუ";

- "audit & consulting group"-ის 2014 წლის 25 აპრილის აუდიტორული დასკვნების თანახმად, აღნაგობის საგანზე აღნაგობის უფლებით გადაცემის წლიური ქირა 1 კვ.მ-ზე განისაზღვრა 36.80 (ოცდათექვსმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარის ოდენობით.

ირაკლი თავართქილაძემ იქვე დასძინა, რომ;

- ქ.თბილისში, ვეკუას ქუჩა 3–ის მიმდებარედ 584 კვ.მ. მიწის ნაკვეთი გაიმიჯნა 2 კვ.მ ფართის N01.18.03.011.033, 98 კვ.მ ფართის N01.18.03.011.032 და 484 კვ.მ ფართის N 01.18.03.011.031 საკადასტრო ერთეულებად.

- 98 კვ.მ ფართი ასევე გაიმიჯნა 70 კვ.მ ფართის N01.18.03.011.039 და 28 კვ.მ ფართის N01.18.03.011.040 საკადასტრო ერთეულებად. ამასთან, ზემოაღნიშნული 47 კვ.მ მიწის ნაკვეთი გაიმიჯნა 21 კვ.მ ფართის N01.18.03.011.035 და 26 კვ.მ ფართის N01.18.03.011.034 მიწის ნაკვეთებად. ხოლო ქ.თბილისში, ვეკუას ქუჩა 3–ის მიმდებარედ 327კვ.მ. მიწის ნაკვეთი გაიმიჯნა 7 კვ.მ ფართის N01.18.03.011.028 და 320 კვ.მ ფართის N01.18.03.011.027 მიწის ნაკვეთებად.

- სააგენტოს 2021 წლის 16 მარტის განცხადებით მიმართა შპს „საყვავილემ" და მოითხოვა ქ. თბილისში, ვეკუას ქ. N3-ში მდებარე მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.011.022) მიერთების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 70 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.18.03.011.039) აუქციონის ფორმით შესყიდვა. აღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოიქმნა აღნაგობის უფლებით გადაცემული 584 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გამიჯვნის შედეგად, შესაბამისად, მასზე რეგისტრირებულია აღნაგობის უფლება.

- 2021 წლის 18 მარტს სააგენტომ მოაღნაგეს გაუგზავნა წერილი, 70 კვ.მ მიწის ნაკვეთის გასხვისებასთან დაკავშირებით პოზიციის დაფიქსირების თაობაზე. ამასთან, სააგენტომ მოაღნაგეს აცნობა, რომ წერილში დასმულ საკითხზე მისი თანხმობის შემთხვევაში, ცვლილება შევიდოდა აღნაგობის ხელშეკრულებაში, შეიცვლებოდა გადაცემული ქონების ფართობი და წლიური აღნაგობის საფასური ფართობის პროპორციულად. ხოლო, 70 კვ.მ მიწის ნაკვეთის გასხვისების შემთახვევაში, 70 კვ.მ ფართზე აღნაგობის ხელშეკრულების მხარე გახდებოდა აუქციონში გამარჯვებული პირი.

- მოაღნაგემ 2021 წლის 26 მარტს სააგენტოში წარმოადგინა თანხმობა 70 კვ.მ მიწის ნაკვეთის გასხვისებასთან და აღნაგობის ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელების თაობაზე;

მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ 2021 წლის 4 აპრილს გამოცხადებულ აუქციონზე განიკარგა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზემოაღნიშნული 70 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ხოლო, 2021 წლის 16 აპრილის აუქციონში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „საყვავილე".

სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 8 მაისის N12.17.575

დადგენილებაში იმ შემთხვევაში, თუ აუქციონში გამარჯვებულთან გაფორმდება ხელშეკრულება და გაიცემა საკუთრების მოწმობა. განსახორციელებელი ცვლილებების ფარგლებში, იცვლება აღნაგობის საგანის ფართობი (მცირდება 70 კვ.მ ფართობით), ასევე, მცირდება წლიური აღნაგობის საფასური გადაცემული ქონების ფართობის პროპორციულად, კერძოდ, ჯამში 1118 კვ.მ მიწის ნაკვეთის აღნაგობის წლიურ საფასურს - 42,000 (ორმოცდაორი ათასი) ლარს აკლდება 70 კვ.მ მიწის ნაკვეთის აღნაგობის საფასური- 2,629.70 (ორიათას ექვსას ოცდაცხრა ლარი და სამოცდაათი თეთრი) ლარი და დარჩენილ, ჯამში 1,048 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განისაზღვრება **აღნაგობის საფასური - 39,370.30** (ოცდაცხრამეტი ათას სამას სამოცდაათი ლარი და ოცდაათი თეთრი)**ლარის ოდენობით.**

დასარულს, **ირაკლი თავართქილაძემ** აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა – **ირაკლი თავართქილაძემ,** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს, გააცნო, გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებათა პროექტები.**

28 აპრილის წერილით წარმოდგენილი, საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ, **საკითხის წარმომდგენმა განმარტა,** რომ ვინაიდან 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) დახმარება ხორციელდებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 – 2019 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამებიდა და დედაქალაქის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია დაზარალებულთა დახმარების გაგრძელება **2021 წლის 30 დეკემბრამდე, საჭირო გახდა აღნიშნულის ასახვა დადგენილებაში.**

ირაკლი თავართქილაძის თქმით, 2019 წლის 4 ოქტომბერს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს ზემოაღნიშნული დადგენილებით დამტკიცებულ **„ქ.თბილისის**

მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესში" ცვლილების შეტანას.

საკითხის წარმომდგენის თქმით, აღნიშნული წესის თანახმად, I კატეგორიის დაზარალებულ პირებს (ოჯახებს), ვინაიდან მათი საცხოვრებელი სახლი/ბინა არ ექვემდებარება რეაბილიტაციას, ფულადი დახმარების სახით გადაეცემათ მათ საკუთრებაში/მფლობელობაში/სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი სახლის/ბინის სტიქიამდე არსებული საშუალო საბაზრო ღირებულება, მითითებული უძრავი ქონების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისათვის დათმობის სანაცვლოდ. ხოლო, ვინაიდან II კატეგორიის დაზარალებული პირების საკუთრებაში/მფლობელობაში/სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი სახლი/ბინა ექვემდებარება რეაბილიტაციას, შესაბამისი რაიონის გამგეობა უზრუნველყოფს ღონისძიებების გატარებას საცხოვრებელი სახლის/ბინის რეაბილიტაციის მიზნით.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა განმარტა, რომ წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელი სახლის/ბინის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება, შემფასებლის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნის მიხედვით, აღემატება დაზარალებულ პირთა საკუთრებაში/ მფლობელობაში/სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი სახლის/ბინის სტიქიამდე არსებული საშუალო საბაზრო ღირებულების 50%-ს ან/და მათ საკუთრებაში/მფლობელობაში/სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი სახლი/ბინა მდებარეობს სტიქიური უბედურების ზონაში, მათ როგორც I კატეგორიის დაზარალებულებს გადაეცემათ ფულადი თანხა და ვრცელდება უძრავი ქონების მუნიციპალიტეტისათვის დათმობის პირობები.

ირაკლი თავართქილაძემ იქვე დასძინა, რომ არსებობენ დაზარალებული პირები, რომელთაც **არ სურთ ისარგებლონ წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი პირობით, როგორც I კატეგორიის დაზარალებულებულებმა მიიღონ ფულადი დახმარება და ითხოვენ უძრავი ქონების საცხოვრებელი სახლის/ბინის საკუთრებაში დატოვებას.** შესაბამისად, ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ასეთ პირებს (ოჯახებს) საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით გადაეცეთ ფულადი დახმარება - საცხოვრებელი სახლის/ბინის (შენობა-ნაგებობის) სტიქიამდე არსებული საშუალო საბაზრო ღირებულების ოდენობით, რათა მათ განახორციელონ არსებული სახლის რეაბილიტაცია ან ახლის მოწყობა.

დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით **წესის მე-4 მუხლს ემატება მე-4[1] პუნქტი, რომლის მიხედვითაც** იმ შემთხვევაში, თუ II კატეგორიის დაზარალებული პირი (ოჯახი) უარს განაცხადებს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ფულადი დახმარების წესით სარგებლობაზე, გარდა იმ პირებისა, რომელთა საცხოვრებელი სახლი/ბინა მდებარეობს სტიქიური უბედურების ზონაში ან უკვე

მიიღეს ფულადი დახმარება, გადაეცემათ მათ საკუთრებაში/მფლობელობაში/სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი სახლის/ბინის (შენობა-ნაგებობის) სტიქიამდე არსებული საშუალო საბაზრო ღირებულება, არსებული შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციის ან ახლის მოწყობის მიზნით. **ასევე, ცვლილება შედის წესის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „გ" ქვეპუნქტში,** რომლის მიხედვითაც გამგეობა სარეაბილიტაციო სამუშაოების განმახორციელებელ პირს შესრულებული სამუშაოსთვის გადაურიცხავს თანხას მის მიერ წარმოდგენილი ფორმა 2-ის საფუძველზე, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს ა(ა)იპ ,,თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის" მიერ. ხოლო მე-4 მუხლის მე-4[1] პუნქტის შესაბამისად, გამგეობა უზრუნველყოფს დაზარალებული პირისათვის (ოჯახისათვის) მათ საკუთრებაში/მფლობელობაში/სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი სახლის/ბინის (შენობა-ნაგებობის) სტიქიამდე არსებული საშუალო საბაზრო ღირებულების გადაცემას.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ მიზანშეწონილია წარმოდგენილი ცვლილებების შესაბამისად მომზადდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების ერთი პროექტი, რომელშიც სრულად იქნება გათვალისწინებული №12-031927772-03 და № 12-0321118135-03 წერილებით წარმოდგენილი ცვლილებები.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ დადგენილებათა პროექტებს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ – **დავით ჯაიანმა,** დღის წესრიგით გათვალისწინებული **მე-6** საკითხზე საუბრისას აღნიშნა, **რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით** ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში.**

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, 2020 წლის ოქტომბრიდან შემოღებულ იქნა სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემა, რომელსაც მგზავრთა გადაყვანის გამარტივების მიზნით მართავს ნებართვის გამცემი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ერთმანეთთან დაკავშირებული ავტობუსებით (M_2 და M_3 კატეგორიის), მიწისქვეშა

ელექტროტრანსპორტით (მეტრო), საბაგირო გზით, აგრეთვე სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალებებით საინფორმაციო ბაზის, გაბილეთიანების სქემისა და განრიგის ინტეგრირებით.

ასევე, **მომხსენებლის** თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის 2021-2023 წლების განვითარების პროგრამა ითვალისწინებს ზემოაღნიშნული ინტეგრირებული სისტემის თანმიმდევრულ ეტაპობრივ დანერგვას, რომელიც სრულფასოვნად 2023 წლის პირველი ივლისიდან უნდა ამოქმედდეს.

როგორც **ბატონმა დავითმა** აღნიშნა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებით დამტკიცებული წესის მიხედვით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, საკრებულოსთან შეთანხმებით, ნებართვის მფლობელთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომლითაც უნდა დარეგულირდეს მომსახურების გაწევის წესი და პირობები, მათ შორის მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი თანხის ანაზღაურების ოდენობა. ამავე წესის მიხედვით ნებართვის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულ ავტობუსებს გააჩნდეთ გავლილი მარშრუტის და კილომეტრების აღმრიცხველი ელექტრონული მოწყობილობა და ამ მოწყობილობით დაფიქსირებული ინფორმაცია მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს ნებართვის გამცემს.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილ იქნა დადგენილების პროექტი, რომლითაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას **მიეცემა თანხმობა** გააფორმოს შეთანხმება ქ. თბილისში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების დამატებითი პირობების თაობაზე, რომლის **4.3 პუნქტის მიხედვით** ნებართვის გამცემი უზრუნველყოფს სამარშრუტო გეგმის დადგენას იმგვარად, რომ 2021 წლის ივლისიდან გარდამავალი პერიოდის დასრულებამდე პერიოდში ლოტებზე დადგენილი ძველი და ახალი ავტობუსების ჯამური რაოდენობა არ აღემატებოდეს 1500 (ათას ხუთასი) ერთეულს, ნაცვლად ამჟამად მოქმედი 2000 ერთეულისა, რაც 500 ერთეულით ამცირებს ავტობუსების მაქსიმალურ რაოდენობას. შესაბამის ლოტებზე წარმოდგენილი საბანკო გარანტიებიც შემცირდება იმავე 500 ერთეულის შესაბამისად.

დავით ჯაიანმა განავრცო, რომ №17-47 დადგენილების დანართ 1-ში შედის შემდეგი ცვლილებები:

- ლოტი №1 - მარშრუტებში №№4, 17, 23, 27, 30, 32, 50, 51, 72, 78, 120, 135, 140, 149, 161, 170, 184, 192 სამუშაო დღეებში ყოველდღიურად მომუშავე ავტობუსების მაქსიმალურ რაოდენობაში შედის კორექტივები და საერთო ჯამში ლოტში ნაცვლად ამჟამად განსაზღვრული 383 ერთეულისა რჩება 252 ავტობუსი;
- ლოტი №2 - მარშრუტებში №№2,6,15,35,40,41,49,73,85,90,126,137,176,202,218 სამუშაო დღეებში ყოველდღიურად მომუშავე ავტობუსების მაქსიმალურ რაოდენობაში შედის კორექტივები და საერთო ჯამში ლოტში ნაცვლად ამჟამად განსაზღვრული 262 ერთეულისა რჩება 184 ავტობუსი;

- ლოტი №3 - მარშრუტებში №№26,34,42,44,53,58,62,66,68,75,80,81,101,102,108,118, 152,193,197,200,208 სამუშაო დღეებში ყოველდღიურად მომუშავე ავტობუსების მაქსიმალურ რაოდენობაში შედის კორექტივები და საერთო ჯამში ლოტში ნაცვლად ამჟამად განსაზღვრული 325 ერთეულისა რჩება 232 ავტობუსი;
- ლოტი №4 - მარშრუტებში №№11,31,39,48,61,100,104,111,128,133,136,139,142,145,147, 187,198,222 სამუშაო დღეებში ყოველდღიურად მომუშავე ავტობუსების მაქსიმალურ რაოდენობაში შედის კორექტივები და საერთო ჯამში ლოტში ნაცვლად ამჟამად განსაზღვრული 350 ერთეულისა რჩება 276 ავტობუსი;
- ლოტი №5 - მარშრუტებში № №3,5,10,28,54,55,69, 70,71,84,91,93, 95,103,105,113, 115,117,119, 138,150,154,155,156,162 ,165,175,185,189,190,191,194,199,205,216 სამუშაო დღეებში ყოველდღიურად მომუშავე ავტობუსების მაქსიმალურ რაოდენობაში შედის კორექტივები და საერთო ჯამში ლოტში ნაცვლად ამჟამად განსაზღვრული 380 ერთეულისა რჩება 256 ავტობუსი.

სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილის თქმით, დადგენილებას **ემატება** ახალი დანართი 4, რომლითაც მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M_2 კატეგორია) მიერ მარშრუტებზე თვის განმავლობაში გასავლელი კილომეტრი. შესაბამისად, პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით. ასევე, დადგენილების პირველ პუნქტს ემატება შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 27 აპრილის №21.524.633 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M_2 კატეგორია) მიერ მარშრუტებზე თვის განმავლობაში გასავლელი კილომეტრი, დანართი 4-ის შესაბამისად.“.

დასასრულს, **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ დადგენილება **ამოქმედდება** 2021 წლის პირველი ივლისიდან. ამასთან, დადგენილების ამოქმედება **არ მოახდენს** ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა - **ირაკლი გვილავამ,** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-7 საკითხი და აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილების პირველი მუხლის „ა" ქვეპუნქტით დამტკიცებულია **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამების - „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა", „შემოქმედებითი თბილისი"** და **„ინკლუზიური ხელოვნების და განათლების** ხელშეწყობა" განხორციელების წესი".

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია აღნიშნულ წესში რამდენიმე ცვლილების შეტანა, კერძოდ:

- წესის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ა.გ" ქვეპუნქტს დაემატება შემეცნებით-დოკუმენტური, მცირემეტრაჟიანი ფილმების შექმნის ხელშეწყობა და ჩამოყალიბდება შესაბამისი რედაქციით;

- აგრეთვე, წესის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ.გ" ქვეპუნქტიდან ამოღებული იქნება კინემატოგრაფია და ანიმაციის სფეროში **კონკურსების** განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია და ჩამოყალიბდება შესაბამისი რედაქციით:

დასასრულს, **ირაკლი გვილავამ** აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი საბიუჯეტო სახსრების გაღებას. ამასთან, დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა - **ნინო რუხაძემ,** შეკითხვა დასვა მომხსენებლის მიმართ და დაინტერესდა თუ საიდან წარმოიშვა აღნიშნული სფეროს დაფინანსების იდეა.

ირაკლი გვილავამ უპასუხა ქალბატონ ნინოს და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით მსგავსი პრაქტიკა არ არსებობდა, ბოლო წლების განმავლობაში მაინც შეინიშნებოდა მიმართვიანობა აღნიშნულის მიმართულებით. შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მუნიციპალიტეტის შესაძლებლობების ფარგლებში არსებული მიმართულების დაფინანსებისა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, ,,ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10, (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ 204460957) და შპს ,,ანაგი"-ს (ს/კ 245416401) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, მირიან მეფის ქუჩა N58 (ს/კ N01.72.14.037.415) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

დასაწყისისთვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის **N59** დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ საკრებულოში წარმოდგენილი იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 აპრილის **N21.571.667** განკარგულება და შესაბამისი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის სხდომის **N9** ოქმი.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, ზემოაღნიშნულ კომისიას განცხადებებით მიმართეს შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფმა" და შპს ,,ანაგი"- მ და მოითხოვეს მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3; ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ N16 , ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2, ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49, ქ. თბილისი, ბოხუას ქ. N10, არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება. კომისიამ 2021 წლის 26 აპრილის სხდომაზე განიხილა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადება და დოკუმენტაცია. **საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

ა) **კომისიამ გასცა დადებითი რეკომენდაცია შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, შემდეგ მისამართებზე - ქ. თბილისი,**

შარტავას ქ. N3, ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2, ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49 , ქ. თბილისი, ბოხუას ქ. N10.

ბ) დედაქალაქის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება NN 20.1144.1433, 20.1145.1432, 20.1147.1429, 20.1150.1428, 20.1151.1427/ 1.10.2020) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულება NN 274, 275, 276, 277, 278, 279) მხარდამჭერი ღონისძიებების გათვალისწინებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა გასცა პირობადადებული სამშენებლო ნებართვები:

ბ.ა) ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3; ბ.ბ) ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14; ბ.გ) ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ N16; ბ.დ) ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა; ბ.ე) ქ. თბილისი, ბოხუას ქ. N10;

გ) ამ ეტაპზე ყველა ობიექტზე (გარდა ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49,შეთანხმებულია კორექტირებული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა;

დ) იმისათვის, რომ შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფმა" დაასრულოს დარჩენილი სამშენებლო - სარემონტო სამუშაოები და შენობა-ნაგებობები შევიდეს ექსპლუატაციაში, შპს ,,სი ემ სი"-სა და შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფს", შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფთან" აფელირებულ კომპანიებს (შპს ,,მარიჯანი, შპს ,,გეითვეი ჰოლდინგი", შპს ,,დაკიდებული ბაღები", შპს ,,დიღომი დისთრიქთ აფართმენტს", იბა ამხანაგობა ,,ახალი დიღომი") შორის გაფორმდა წინასამშენებლო სამუშაოებისა და მშენებლობის ზედამხედველობის შესახებ ხელშეკრულება (2020 წლის 29 იანვარი; 2020 წლის 20 ოქტომბერი - ცვლილების ხელშეკრულება);

ე) ცვლილების ხელშეკრულების მიხედვით, შპს ,,სიემსი" შეასრულებს პროექტის მენეჯმენტს, წინასამშენებლო მომსახურებას, ასევე, მის კომპეტენციის ფარგლებში ყველა იმ მომსახურებას, რაც ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, თუმცა საჭიროა, რომ მოცემული პროექტი დასრულებულ იქნას დროულად და ხარისხიანად.

ვ) ამასთან, შპს ,,სი ემ სი"ვალდებულია უზრუნველყოს:

ვ.ა) ტენდერის ჩატარება და გამარჯვებულის გამოვლენა;

ვ.ბ) ტენდერის კლასიფიკაციები;

ვ.გ) განმარტებითი შეხვედრების დაგეგმვა და მათი ჩატარების უზრუნველყოფა;

ვ.დ) ნომინაციები;

ვ.ე) ტენდერის შედეგების თანახმად გამოვლენილი გამარჯვებული კომპანიის/ების მიერ შესაბამის ობიექტებზე, პროექტით და შესაბამისი თანდართული სამუშაოების გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ჩასატარებელი სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, 2020 წლის 31 დეკემბრამდე;

ზ) აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე შპს „სი ემ სი"-მ მოამზადა ზემოთწარმოდგენილ მისამართებზე არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ნუსხა და ხარჯთაღრიცხვა;

თ) **იმისათვის, რომ მოხდეს აღნიშნულ სამშენებლო ობიექტებზე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დაწყება, საჭიროა გარკვეული თანხების მობილიზება, რასთან დაკავშირებითაც, წარმოდგენილი განცხადებებითა და საპროექტო წინადადებით, შპს „ანაგი" გამოთქვამს მზაობას, განახორციელოს ფინანსური მხარდაჭერა შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით;**

ი) **შპს „ანაგი"-ს საკუთრებაშია მისამართზე - ქ. თბილისი, მირიან მეფის ქ. N58 არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ N01.72.14.037.415, ფართობი - 2443 კვ.მ), რომელზეც ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა;**

კ) როგორც დაინტერესებული პირი განმარტავს, მიმდებარედ არსებული განაშენიანების ინტენსივობის გათვალისწინებით (20-27 სართული), დასაშვებია მრავალფუნქციური შენობის პროექტის შეთანხმება, რომლის სართულიანობა განისაზღვრება 25-27 სართულით და რომლის 85% დაიტვირთება საცხოვრებელი ფუნქციით;

ლ) შპს „ანაგი" ითხოვს:

ლ.ა) მიწის ნაკვეთის **განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის განსაზღვრას (კ-2) 11.0-ით;**

ლ.ბ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას შენობის სიმაღლის და ავტოსადგომების რაოდენობის განმსაზღვრელი მოქმედი ნორმების დაუცველად. კერძოდ, როგორც შპს „ანაგის" წარმომადგენელმა დააზუსტა კომისიის სხდომაზე - ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვროს მინიმუმ 80 -ით;

ლ.გ) საზოგადოებრივი სივრცის (კომერციული ფართის) წილის განსაზღვრას კ2-ის საანგარიშო ფართობის 10- %-ით (ნაცვლად 25%-ისა);

ლ.დ) მიწის ნაკვეთის **ინტენსივობის კოეფიციენტის განსაზღვრას (კ-1) 0.7-ით, მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტის განსაზღვრას (კ-3) - 0.2-ით;**

მ) **საპროექტო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა,** რომლის მიხედვით, ქალაქ თბილისში, მირიან მეფის ქუჩა N 58 - რეგისტრირებული **2443 კვ.მ მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება 2021 წლის 17 მარტის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 554 561 აშშ დოლარს,** რაც გაცვლითი კურსით ეროვნულ ვალუტაში შეადგენს 1 841 420 ლარს.

ნ) იმ შემთხვევაში, თუ კომისია შპს ,,ანაგის" საპროექტო წინადადებას განიხილავს, როგორც დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდამჭერ ღონისძიებას და მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილებები, კომპანია გამოთქვამს მზაობას, აანალიზებაროს მისამართებზე - შარტავას ქ. N3, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, აკ.ბაქრაძის ქ N16, მარიჯანის ქუჩა N2, კოსმონავტების ქ N 45-47-49, ბოხუას ქ. N10, - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის სამშენებლო სამუშაოების ღირებულების ნაწილი, ჯამურად 1 186 938 აშშ დოლარის ოდენობით;

ო) ამასთანავე, შპს ,,ანაგი" გამოთქვამს მზადყოფნას, აღნიშნული თანხა გადაიხადოს მშენებლობის ნებართვების აღების ეტაპზე, მოთხოვნისამებრ.

როგორც ბატონმა ლევანმა აღნიშნა, კომისიამ მოსაზრებით, იმის გათვალისწინებით, რომ:

ა) შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების (მათ შორის ექსპლუატაციაში მიუღებელი შენობა-ნაგებობების) დასრულების მიმართ არის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, შენობა-ნაგებობების დასრულებას და ექსპლუატაციაში მიღებას ელოდება ათასობით დაზარალებული პირი/ოჯახი, მათ შორის ემიგრაციაში მყოფი მოქალაქეები, რომლებიც სამშობლოში ვერ ბრუნდებიან საცხოვრისის არქონის გამო;

ბ) მისამართებზე - შარტავას ქ. N3, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, აკ.ბაქრაძის ქ N16, მარიჯანის ქუჩა N2, კოსმონავტების ქ N 45-47-49, ბოხუას ქ. N10 - არსებულ სამშენებლო ობიექტებზე ჩასატარებელია მთელი რიგი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, რომ შეიქმნას ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის შესაბამისი საცხოვრისი და უსაფრთხო გარემო;

გ) მისამართებზე - შარტავას ქ. N3, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, აკ.ბაქრაძის ქ N16, მარიჯანის ქუჩა N2, კოსმონავტების ქ N 45-47-49, ბოხუას ქ. N10 - სამშენებლო ობიექტის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ნუსხისა და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით საჭიროა სოლიდური თანხის მობილიზება.

თავმჯდომარის თქმით, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია:

ა) მისამართზე - ქალაქ თბილისი, მირიან მეფის ქუჩა N58, -არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში წარმოდგენილი საპროექტო წინადადება განხილულ იქნას, როგორც შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების მხარდამჭერი ღონისძიება და გაიცეს დადებითი რეკომენდაცია;

ბ) შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის ოდენობა განისაზღვროს შემდეგი პრინციპით და საანგარიშო ფორმულით:

$$X = \frac{L}{K2}(K2^1 - K2)S$$

სადაც:

ა) X არის ფინანსური მხარდაჭერის ოდენობა;

ბ) L არის 1კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასი*;

გ) K2 არის მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი;

დ) $K2^1$ არის მიწის ნაკვეთისათვის მოთხოვნილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი;

ე) S არის სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობი.

*მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასი დგინდება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე, აშშ დოლარში. ამასთან, თანხის გადახდა უნდა მოხდეს ლარში, გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ბატონი ლევანის თქმით, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისის მთავრობამ გადაწყვიტა:

შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფს" და შპს ,,ანაგი"-ს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, აკ.ბაქრაძის ქ N16, მარიჯანის ქუჩა N2, კოსმონავტების ქ. N45-47-49, ბოხუას ქ. N10 - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, წარმოდგენილი განცხადების და დოკუმენტაციის ფარგლებში, **მისამართზე - ქ. თბილისი, მირიან მეფის ქუჩა N58, არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში განესაზღვროთ შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები:**

ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) **განისაზღვროს 11.0-ით; მიწის ნაკვეთის ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-1) განისაზღვროს - 0.7-ით, მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) განისაზღვროს - 0.2-ით;**

ბ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული შენობების სიმაღლის და ავტოსადგომების რაოდენობის განმსაზღვრელი მოქმედი ნორმები. კერძოდ, ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვროს არანაკლებ 80-ით. ამასთან, საზოგადოებრივი სივრცის (კომერციული ფართი) წილი განისაზღვროს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის -10 %-ის ოდენობით;

გ) არქიტექტურული **პროექტის შეთანხმება მოხდეს არაუმეტეს 27 საცხოვრებელი სართულის ფარგლებში;**

დ) შპს „ანაგმა" შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის **(1 188 345 (მილიონ ასოთხმოცდარვა ათას სამას ორმოცდახუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში** - გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, „ცენტრ პოინტი ჯგუფის" დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი", შპს „მარიჯანი", შპს „გეითვეი ჰოლდინგი", შპს „დაკიდებული ბაღები", შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთს", ამხანაგობა „ახალი დიღომი", ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88"-ს და შპს „სიემსი"-ს შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრული წესების და პირობების და 2021 წლის 26 აპრილს დადებული, „ცენტრ პოინტი ჯგუფის" დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთახმების შესაბამისად;

ე) შპს „ანაგმა" ამ განკარგულების პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მოთხოვნის შესაბამისად. ამასთან, თანხის გადახდის მოთხოვნის და თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას;

ვ) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „დ" და „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამავე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, სასურველია ტექნიკურად გაიმართოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9-10. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა კომისიის წევრებს შესთავაზა, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-9 და მე-10 საკითხის განხილვის გადადება, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების უკეთ შესწავლის მიზნით. თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

კომისია ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე და მეათე საკითხის განხილვის გადადებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი ნინო ჯალაღანია